3192/3-92/21 2 07042021

3192/3-92/21
07-04-2021

საქართველოს თავდაცვის მინისტრს,
ბატონ ჯუანშერ ბურჭულაძეს

მისამართი: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა 20.

ბატონო ჯუანშერ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ სტატისტიკური ინფორმაცია, რეზერვის განახლებული სისტემის ამოქმედებიდან დღეის მდგომარეობით, სარეზერვო სამსახურში ჩარიცხულთა რაოდენობის შესახებ, ასევე, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია სამობილიზაციო რესურსის შესახებ. აგრეთვე, გთხოვთ, გვაცნობოთ დაგეგმილი რეკრუტირების ცენტრების პროექტის მიმდინარეობის შესახებ.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ეკა სეფაშვილი

საქართველოს თავდაცვის მინისტრი

MOD 1 21 00361149

19/04/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ეკა სეფაშვილს

ქალბატონო ეკა,

თქვენი მიმდინარე წლის 7 აპრილის №3192/3-92/21 (რეგისტრაციის №315332) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ დღეისათვის, საქართველოს მასშტაბით, ფუნქციონირებს 3 (სამი) რეკრუტირების ცენტრი: ქალაქ გორში, ქალაქ ქუთაისში და ქალაქ სენაკში, ხოლო სამომავლოდ, დაგეგმილია კიდევ 4 (ოთხი) რეკრუტირების ცენტრის გახსნა: ქალაქ თბილისში, ქალაქ რუსთავში, ქალაქ თელავში და ქალაქ ბათუმში.

აქტიურ სარეზერვო (ტერიტორიული რეზერვი) სამსახურში ჩარიცხული პირების რაოდენობა მოგეწოდებათ „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ხოლო, რაც შეეხება სამობილიზაციო სარეზერვო სამსახურს, „თავდაცვის ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ,,სამობილიზაციო რეზერვისტების აღრიცხვის, სამობილიზაციო კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 მაისის №276 დადგენილების შესაბამისად, სამობილიზაციო რეზერვისტებს აღრიცხავენ და ამ ეტაპზე მათი რაოდენობის შესახებ ინფორმაციას ფლობენ შესაბამისი მუნიციპალიტეტების უფლებამოსილი სამსახურები, რომლებსაც დარგობრივ ზედამხედველობას უწევს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

პატივისცემით,

მინისტრი
ჯუანშერ ბურჭულაძე

შტამპდასმულია
ელექტრონულად
საქართველო
თავდაცვის სამინისტრო